საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 4 23 0000275974

10/03/2023

„სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 ივლისის №666/ი ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2023 წლის 22 თებერვლის №212713 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 ივლისის №666/ი ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესის" **მე-2 მუხლის**:

ა) 2^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^2 პუნქტი:

„2^2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად განხორციელებული კლასიფიკატორით დადგენილი დეტალური სფეროს მე-2 სვეტის განვითარების საფუძველს შესაძლოა წარმოადგენდეს საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებასთან/დაწესებულებებთან ერთად ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, რომელიც დასტურდება ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად მის განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და ამ ხელშეკრულების პროექტის ცენტრთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტით. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს დასამატებელი სწავლის სფეროს საერთაშორისო გამოცდილების შესახებ ანალიზის დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნება შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა არანაკლებ სამი ქვეყნის გამოცდილების მაგალითზე:

ა.ა) საგანმანთლებლო პროგრამების აღწერა (პროგრამების მიზნები, სწავლის შედეგები, საფეხური, კრედიტთა რაოდენობა, პროგრამის სტუქტურა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, დასაქმების შესაძლებლობები და პროფესიაში შესვლის წინაპირობები);

ა.ბ) სფეროს მარეგულირებელი საერთაშორისო აქტები (არსებობის შემთხვევაში).

ბ) დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) (არსებობის შემთხვევაში: დასაქმების კლასიფიკატორში მოძიებული ძირითადი და შესაბამისი ჯგუფის აღმწერები, შესასრულებელი დავალებები, ინფორმაცია კვალიფიკაციის დონის შესახებ, შესაბამისი პროფესიების ჩამონათვალი კოდების მითითებით.).

გ) სფეროს დამატების აუცილებლობის დასაბუთება:

გ.ა) გამოწვევები რომლებსაც უპასუხებს შესაბამის სფეროში საგანმანთლებლო პროგრამების შემუშავება;

გ.ბ) დასაქმების ბაზრის კვლევის მონაცემები (არსებობის შემთხვევაში).

დ) დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში).

იმ შემთხვევაში, თუკი, ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ამ პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების განხორციელებიდან 1 წლის განმავლობაში ვერ მიიღებს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად აკრედიტაციას, ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახური სამინისტროს წარუდგენს შუამდგომლობას ამ პუნქტის საფუძველზე, კლასიფიკატორით დადგენილი დეტალური სფეროს მე-2 სვეტში დამატებული სწავლის სფეროს ამოღების თაობაზე.

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური ხასიათის ცვლილების საფუძველი შესაძლებელია გახდეს შესაბამისი უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს ინიცირება/გადაწყვეტილება ან/და ცენტრის მიერ შესაბამისი სფეროს კვალიფიციური კადრების ჩართულობით სამუშაო ჯგუფის მოწვევა, რომელიც განიხილავს ცვლილების მიზანშეწონილობას და ცენტრს აძლევს შესაბამის რეკომენდაციას, რომელიც აისახება სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმში. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმის შედგენას უზრუნველყოფს ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახური შეხვედრის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმს თან ერთვის სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ ხელმოწერილი დასწრების ფურცელი.".

2. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ